გაიმარჯვა “კარპატიმ”

ლვოვი. “დრუჟბას” სტადიონი. 7 ოქტომბერი.

“კარპატი” (ლვოვი) – “დინამო” (თბილისი) 3:1 (1:0).

“კარპატი”: რაკიტსკი, გერეგი, პოტოჩნიაკი, ჩორბა, ბონდარენკო, ბროვარსკი, ლიხაჩოვი (სავკა), დუბროვნი, დანილიუკი კიკოტი, კოზინკევიჩი (გორნიკი).

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე (ჭელიძე), ებრალიძე, მუჯირი, ჩივაძე, გ. მაჩაიძე (ესებუა), ქორიძე, ჩელებაძე, ყიფიანი, კოპალეიშვილი.

მსაჯი: რ. იუშკა (ვილნიუსი).

მინდვრიდან გაძევებულია პოტოჩნიაკი.

დუბლიორები – 1:1.

წლევანდელ სეზონში თბილისელებმა ორჯერ დაამარცხეს ლვოველები, ამიტომ გასაგებია ის დიდი მონდომება, რომელიც მასპინძლებმა გამოიჩინეს ამ საპასუხისმგებლო მატჩში. თამაში მიმდინარეობდა სწრაფად, ტემპიანად, მაყურებლები ტაშით აღნიშნავდნენ ორივე გუნდის ოსტატობას.

თბილისელებს კვლავ აკლდათ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ ენერგიულად დაიწყეს თამაში, სახიფათო პოზიციაში აღმოჩნდნენ ყიფიანი, ჩელებაძე, შემდეგ კი ინიციატივას საფუძვლიანად დაეუფლნენ მასპინძლები. ერთ–ერთ მომენტში ლიხაჩოვი გავიდა მცველთა შორის და ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში.

მეორე ტაიმის დასაწყისში მოხდა ინციდენტი: “კარპატის” კართან შექმნილ არეულობაში უწესოდ მოიქცა პოტოჩნიაკი, რისთვისაც არბიტრმა იგი მინდვრიდან გააძევა. მიუხედავად იმისა, რომ ლვოველები 10 კაცის შემადგენლობით იყვნენ დარჩენილი, მათ კვლავ მიაღწიეს წარმატებას: ბროვარსკის მოულოდნელი დარტყმა დინამოელთა კარის ბადეში აღმოჩნდა.

ამ გოლის გაქვითვა შეძლო ჩივაძემ, მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა, მაგრამ სავკას მიერ გატანილმა გოლმა მატჩის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა კარპატის” სასარგებლოდ”.

“ლელო”, 9 ოქტომბერი, 1976 წ.